საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 აპრილი 2011 წ ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/16

სარეზიდენტო პროგრამაზე (სპეციალობა: სამედიცინო რადიოლოგია) მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ №135/ნ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2011 წლის 7 აპრილის 02/6904, წერილის, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ რსუ–ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 2 თებერვლის №14 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მიღების მიზნით სარეზიდენტო პროგრამაზე (სპეციალობა: სამედიცინო რადიოლოგია) გამოცხადდეს სპეციალობის მაძიებელთა მისაღები კონკურსი 13 მაძიებელზე;

2.კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს რსუ–ს კანცელარიაში 2011 წლის 14 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით, 10სთ–დან 17სთ–მდე, გარდა შაბათ–კვირისა;

3.სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის სპეციალობაზე მისაღებ პირთა დადგენილი ოდენობის (კვოტის) ფარგლებში, დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული მაღალი შეფასების გათვალისწინებით. თუკი კონკურსანტთა ოდენობა გადააჭარბებს მისაღებ ოდენობას, ჩარიცხვა განხორციელდეს სარეზიდენტო პროგრამისა და შესაბამისი მოდულების ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგების მიხედვით;

4.ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

5.ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52).

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**